

პრობლემური ქცევის მქონე მოზარდების სკოლაში რეინტეგრაციის პროცესი; დამცავი და რისკ ფაქტორები

ქიტოშვილი ნინო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის დოქტორანტი

ninoqitoshvili@gmail.com

ანოტაცია

ადამიანის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ოჯახს და სკოლას, რომლებიც ერთობლივად ზრუნავენ ბავშვის საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავებაზე. ოჯახი დიდ როლს თამაშობს ბავშვის ქცევითი ტენდენციების შემუშავებაში. მან სკოლასთან ერთად, უნდა შეძლოს ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილება და ღირებულებების ფორმირება. სკოლაში სასწავლო გარემოს უსაფრთხოება, ბავშვის ალზრდა-განათლების ეფექტიანი პროცესის წინაპირობაა. საქართველოში სკოლის უსაფრთხოებაზე ზრუნავს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური და რეგულირდება შესაბამისი დებულებით. მანდატური, მასწავლებელი და/ან მშობელი, პრობლემური ქცევის შემჩნევსას, ქცევის პრევენციისა და დანაშაულის ჩადენის რისკის შესამცირებლად, მოზარდს ამისამართებენ შესაბამის სპეციალისტთან, რომლებიც მოზარდს ეხმარებიან ქცევითი და ემოციური დარღვევების რეაბილიტაციაში და სკოლის პერსონლთან ერთად ხელს უწყობენ საზოგადოებაში რეინტეგრაციაში. რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის პროცესი ყოველთვის არ არის წარმატებული. ზოგჯერ პროცესში არსებული რისკ-ფაქტორები ხელს უშლის რეინტეგრაციას, ქცევა არ ქრება და იზრდება მომავალში დანაშაულის ჩადენის ალბათობა. სკოლაში მოზარდთა რეინტეგრაციის პროცესის სიღმისეულად შესწავლისათვის ჩატარდა სიღმისეული ექსპერტული ინტერვიუები მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტებთან და სკოლის მასწავლებლებთან. დადგინდა პრობლემური ქცევის მქონე მოზარდების სკოლაში რეინტეგრაციის პროცესში არსებული გამოწვევები, გამოიკვეთა საჭიროებები და იდენტიფიცირდა პროცესის დამცავი და რისკ ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: მოზარდი, სკოლა, პრობლემური ქცევა, რისკ ფაქტორები, რეინტეგრაცია

შესავალი

საზოგადოების მიერ ბავშვების განათლებაზე ზრუნვა, მაქსიმალურად ზრდის მათი მომავალი კეთილდღეობის ალბათობას. ბავშვების ემოციური, სოციალური და ფიზიკური განვითარება გავლენას ახდენს მათ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ზრდასრულ ასაკში.¹ მოზარდის ზრდასრულად ჩამოყალიბებასა და განვითარებაში

მნიშვნელოვან როლს თამაშობს განათლება, რომელსაც ისინი ცხოვრების პირველ წლებში სახლში, ხოლო შემდგომ, სკოლაში იღებენ. სკოლა ხდება მათთვის ფორმალური განათლების მიღების ადგილი, სადაც იძენენ გამოცდილებას და ემზადებიან მომავლისთვის. სკოლამ უნდა შეძლოს ბავშვთა საჭიროებების დაკმაყოფილება, როგორც მათი ცოდნისა და უნარების განსავითარებლად, ასევე, სწორი ღირებულებებისა და დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად (Permata, 2016, გვ. 315).

სკოლის მიზანია მოსწავლის აღზრდა და ზოგადი განათლების შემდგომ საფეხურისთვის მომზადება², ის, ასევე, უვითარებს ბავშვს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, ასწავლის ჯანსაღი ცხოვრების წესს, უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ ცნობიერებას და ეხმარება მათ საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად ინტეგრაციაში.³ ბავშვის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობისთვის დიდ როლს თამაშობს უსაფრთხოების განცდა, როდესაც ბავშვის უფლებები დაცულია და არ ის ძალადობრივად ირღვევა. შესაბამისად, სკოლაში არსებული სასწავლო გარემოს უსაფრთხოება, წარმოადგენს ბავშვების აღზრდა-განათლების ეფექტიანი პროცესის აუცილებელ წინაპირობას (ლაბარტყავა და სხვები, 2018, გვ.8-9).

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სკოლების ტერიტორიაზე ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებაზე ზრუნავს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. ბავშვის განათლების პროცესის უსაფრთხოებისათვის ის ატარებს, როგორც პრევენციულ ღონისძიებებს, ისე ახდენს რეაგირებას ფსიქიკური პრობლემების, ქცევითი და ემოციური დარღვევებზე.⁴

ბავშვი განვითარების ყველა ეტაპზე განიცდის ფიზიკურ, კოგნიტურ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებს (IMNRC, 2011 ,გვ.2-3).განსაკუთრებით საგულისხმოა მოზარდობის ასაკი, როდესაც დამოუკიდებლობის მომეტებული სურვილი, ემოციების გაკონტროლების შეუძლებლობა და ადრენალინის მოთხოვნილება იზრდება. ამ დროს დიდი რისკია მოზარდს აუცრუვდეს სკოლაზე გული, გაუფუჭდეს ნიშნები და დაიწყოს სკოლის გაცდენა (ჯანაშიადასხვები, 2008, გვ. 165). მეცნიერების (Buonano, 2003, გვ. 18-19; Wall at all. 2015, გვ. 4;Williams-Owens, 2017; Pruet & Barker, 2009, გვ. 366) აზრით, აკადემიური მოსწრების გაუარესება, ოჯახური კონფლიქტების მსგავსად, პრობლემური ქცევის პრედიქტორად გვევლინება.

²Encyclopedia on Early Childhood Development , 2011, Importance of Early Childhood Development, ხელმისაწვდომია :<https://www.child-encyclopedia.com/sites/default/files/dossiers-complets/en/importance-of-early-childhood-development.pdf>, წვდომის თარიღი 20.08.2021, გვ. 1

2

³საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005, მუხლ.2 (ბ), ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90> , წვდომის თარიღი 19.08.2021

3

⁴საქართველოს მთავრობის დადგენილება #84, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ, 2004

4

⁵საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, 2019, (მუხლ. 2-3) ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613224?publication=0> წვდომის თარიღი 17.08.2021

მიუხედავად სკოლის თავდაუზოგავი მცდელობისა, მინიმუმამდე დაიყვანოს მოზარდთა აგრესიული, პრობლემური ქცევის განხორციელების ალბათობა, მოზარდების გარკვეული ჯგუფები მაინც თავს ვერ არიდებენ პრობლემურ ქცევას. მოზარდებში აღნიშნული ქცევა მომავალში მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის (Capaldi at all, 2016). დანაშაულის ჩადენის რისკის შესამცირებლად, პრობლემური ქცევის შემჩნევისას, მანდატური ამისამართებს აღნიშნული ქცევის/პრობლემის მქონე მოსწავლესა და მის მშობელს/მასწავლებელს შესაბამის სპეციალისტებთან (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი), რომლებიცოჯახის ჩართულობით, რეაბილიტაციის გზით, ეხმარებიან მოზარდს ქცევითი, ემოციური და ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევაში. პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის რეაბილიტაცია ემსახურება მის სკოლაში და საზოგადოებაში წარმატებულ რეინტეგრაციასა და მომავალში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების პროცესს.⁵

მკვლევართა(Mantey და Dzetor,2018, გვ. 321) აზრით სამწუხაროდ, აღნიშნული სახის ინტერვენციები ყოველთვის არ გახლავთ ეფექტური, ზოგიერთ შემთხვევაში, მოზარდის რეინტეგრირება ვერ ხდება და იზრდება მომავალში მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათობა.

მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა შეესწავლა საქართველოში პრობლემური ქცევის მქონე მოზარდების სკოლაში რეინტეგრაციის პროცესი და დაედგინა რეინტეგრაციისათვის მოზარდის დამცავი და რისკ ფაქტორები. კვლევის ვარაუდით, პრობლემური ქცევის მქონე მოზარდების რეინტეგრაციის პროცესში დამცავ ფაქტორად გვევლინება ოჯახში კონფლიქტის არ არსებობა და მშობელთა მხარდაჭერა.

ვარაუდის შესამოწმებლად დაისვა კითხვები:

1. რას გულისხმობს მოზარდების პრობლემური ქცევა?
2. რა არის მოზარდობის ასაკში პრობლემური ქცევის მიზეზები?
3. როგორ ხდება პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის რეაბილიტაცია?
4. რა სირთულეებს აწყდებიან სპეციალისტები პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის პროცესში?
5. პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის პროცესში რა გვევლინება დამცავ და რისკ ფაქტორებად?
6. რა საჭიროებებია პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის პროცესის ხელშესაწყობად.

კვლევის პროცესში ჩატარდა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგებსა და სოციალურ მუშაკებთან ექსპერტული სიღრმისეული ინტერვიუები. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს საშუალებით მიღებული მონაცემები გაანალიზდა თვისებრივი კონტენტანალიზის მეშვეობით, გამოიყო ძირითადი თემები და იდენტიფიცირდა რეინტეგრაციის პროცესის სირთულეები და მხარდაჭერი გარემოებები

5

⁵ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის –

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, 2019, (მუხლ. 12), ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613224?publication=0> წვდომის თარიღი 17.08.2021

მოზარდების პრობლემური ქცევა

ადამიანის საზოგადოებაში სრულფასოვანი წევრობის უზრუნველსაყოფად საზოგადოება ზრუნავს მისთვის საზოგადოებაში დამკვიდრებული წესჩვეულების სწავლებაზე, არსებული ცოდნის გადაცემასა და მის ზოგად კეთილდღეობაზე (Henkes. 2000, გვ. 23). ბოლო 150 წლის განმავლობაში ბავშვებისთვის განსავითარებლად გარემო პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, გაჩნდა მეტი ხელშეწყობა. თუმცა, ბენტლი და პატელის (Bentley და Patel, 2019, გვ.6-9) აზრით, ოჯახები და თავად მოზარდები ბავშვობის პროცესს მეტად რთულ პერიოდად მოიხსენიებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზრდის და ჩამოყალიბების პროცესი პრობლემურად მეტად დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებს მიაჩნიათ, რომელთა აზრით, მათ მომავალ თაობას არ უჩანს ნათელი მომავალი. დაბალი შემოსავლის გარდა, ამ მოსაზრებას ამძღვრებს თანამედროვე მშობლებისა და შვილების კონფლიქტი, შვილების ცხოვრებაში დაბალი ჩართულობა, რაც ბავშვის ქცევით და ემოციურ გამოხატულებაში იჩენს შემდგომ თავს. განსაკუთრებით საყურადღებოა მოზარდობის ასაკი, როდესაც ოჯახური დამაბულობა ხელს უშლით მოზარდებს კონცერტირდნენ მათ მომავალზე, პროფესიულ არჩევანსა და განათლებაზე. ეს არის საოჯახო და სასკოლო სტანდარტების დაკმაყოფილების მუდმივი სტრესი, მშობლების მუდმივი მოუცლევლობა, მასწავლებლისა და თანატოლებისგან სტიგმატიზირება და ბულინგი მნიშვნელოვნად აფერხებს სამომავლო აკადემიური და სოციალური წარმატებების მიღწევის შანსს. სამწუხაროდ, ამ ყოველივეს განსამუხტად და ოჯახების მხრდასაჭერად არსებული სოციალური სერვისები ძალიან მცირეა.

დამაბულობის (Merton , 1938), სოციალური კონტროლის (Hirsch, 1969) და სოციალური ინტეგრაციის (Satherland, 1947) თეორიები მოზარდის პრობლემურ ქცევას ხსნიან მშობლებთან ცუდი ურთიერთობით, მზრუნველობის ნაკლებობით, სკოლის გაცდენით, დაბალი აკადემიური მოსწრებით და უკავშირებენ მომავალში დანაშაულებრივი ქცევის განხორციელების ალბათობას (Darbouze , 2008, გვ. 108-109).

„მომავალი ქცევის პრედიქტორი, წინა ქცევა“, შესაბამისად, ის თუ როგორ გარემოში იზრდება ბავშვი განაპირობებს მის სამომავლო ქცევას (Darbouze , 2008, გვ. 108). ვანდერვოტერი და ლენსფორდი (Vandewater და Lansford, 1998) აღნიშნავენ, რომ მოზარდობის პერიოდში ოჯახური კონფლიქტი და პრობლემები გავლენას ახდენს ბავშვის კეთილდღეობის სამ ასპექტზე: 1. ინტერნალიზებული ქცევა (დეპრესია, აშლილობა და სხვ.); 2. ექსტერნალიზებული ქცევა (EPB)(აგრესია, დელიქვენტობა და სხვ.) და ინტერპერსონალური ურთიერთობის სირთულეები (სოციალური იზოლაცია. განსხვავებულობა და სხვ.)(Vandewater და Lansford, 1998, გვ. 323). აღნიშნულ პოზიციას იზიარებენ მეცნიერები ბენტლი და პატელი(Bentley და Patel, 2019, გვ.22-24) . მათი აზრით, დღეს ბავშვებს ვერ აქვს დამსახურებული ბავშვობა და მათი კეთილდღეობის გაუარესება უკავშირდება ბავშვის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს. მათ შორისაა: არაპოზიტიური მშობლობა, მშობლის დაუსაქმებლობა, განათლების სიმცირე და ოჯახის შემოსავალი. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს საქართველოს კანონმდებლობა, სადაც, მოზარდობის დანაშაული ოჯახის, ფინანსებისა და განათლების სირთულეებთან არის დაკავშირებული.⁶

6

⁶ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის ბრძანებულება N235, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;

ჰენკეს (Henkes. 2000) აზრით, გარემოებები, რომლებიც მოზარდის პრობლემური ქცევის განმაპირობებელია და დანაშაულის ჩადენის მოწყვლად ჯგუფში ანთავსებს მას, გახლავთ ოჯახის სოციალ-ეკონომიკური სტატუსი, ცუდი ინტერპერსონალური უნარები, პიროვნული მახასიათებლები (Henkes. 2000, გვ. 27), ოჯახური კონფლიქტები, მავნე ნივთიერებების გამოყენება და ძალადობის მოწმე/შემსწრეობა, რომელიც დიდი ალბათობით დანაშაულის. აღნიშნული ქმედების წინაპირობების გათვალისწინებით, საზოგადოებისთვის დამოკიდებულება მოზარდისადმი ლოილურია და მისთვის მეორე შანსის მიცემის მიზნით, ორიენტირებულია მოზარდის რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში სრულფასოვან რეინტეგრაციაზე (Darbouze , 2008, გვ. 105)

მოზარდებში პრობლემური ქცევის პრევენციისა და ინტერვენციის პროგრამები დიდ როლს თამაშობს მათ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ქცევაში. ამ დროს პრობლემური ქცევის იდენტიფიცირება და წინაპირობების შემთხვევების ინდივიდუალურად კვლევა წარმოადგენს ეფექტიანი რეაბილიტაციის საფუძველს (Abrams , 2014, გვ. 405). ისმის კითხვა, რომელი პროგრამა და გარემოება ეხმარება მოზარდს აღნიშნული სირთულეების გადალახვაში? და რომელი რეაბილიტაციური მეთოდია მეტად ეფექტური? (Darbouze , 2008, გვ. 105)

მოლინას და მისი კოლეგების (Molina at all., 2005, გვ. 103) კვლევით, პრობლემური ქცევის მოზარდებთან მუშაობისთვის მეტად ეფექტურია თვითკონტროლის სწავლება და სოციალური უნარების განვითარება პრობლემების ექსტერნალიზაციის შესამცირებლად. ასევე, მშობლების ჩართულობის გაზრდა შვილის რეაბილიტაციის პროცესში, თანატოლებისგან პროსოციალური ქცევის დასწავლის პრაქტიკა, აგრესიული ქცევის შედეგების გაცნობიერება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სკოლაში მოზარდის როლის გაზრდა, მისი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, მასწავლებლის მხრიდან დადებითი შეფასება და თანატოლების წახალისება.

მოზარდის რეაბილიტაციური მოდელი ეფექტურია მაშინ, როდესაც ორიენტირებული და მორგებულია მოზარდის საჭიროებებზე, მათ დაკმაყოფილებაზე და ისახავს მიზნად მის საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნებას, რეინტეგრაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯი იქნება უშედეგო და მოზარდის მომავალი კრიმინალური ქმედების რისკ შემცველი (Darbouze , 2008, გვ. 109-110).

პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია სკოლაში

სახელმწიფოს და საზოგადოებისათვის თითოეული პრობლემური ქცევის მქონე და კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის რეაბილიტაცია დაკავშირებულია სოციალურ და ფინანსურ ხარჯებთან. გაწეული რესურსის ეფექტიანობისთვის უმნიშვნელოვანესია რეაბილიტირებული მოზარდის საზოგადოებაში რეინტეგრაცია. რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული თერაპიული მეთოდები, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდის საზოგადოებაში დაბრუნებას , გულისხმობს მავნე ნივთიერებებისგან თავის დასაღწევ, სოციალური უნარების გამომამუშავებელ, სოციალური ინტერაქციის ხელისშემწყობ და ოჯახის გამამდიერებელ ღონისძიებებს (Darbouze , 2008, გვ. 105).აღნიშნული ღონისძიებები დამოკიდებულია მოზარდის საჭიროებებზე და უმეტეს შემთხვევაში გულისხმობს ტრენინგებს, სოციალური კომპეტენციის გაზრდას, აგრესიის მართვის სწავლებას, სქესობრივ განათლებას და გარდა ამისა, მის ხელახალ განათლებასა და საჭირო უნარებით აღჭურვას. ამ

მიდგომით, საზოგადოება ცდილობს დაანახოს მოზარდს, რომ ცხოვრება დანაშაულის გარეშე უკეთესია. რეაბილიტაციის პროცესში პრობლემური ქცევის აღმოსაფხვრელი სწავლების პროცესი არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ სწავლებას და ორიენტირებულია ქცევის გაცნობიერებასა და ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მსწავლებლის მიდგომაზე. ეს არის პროცესი, როდესაც სკოლა, საზოგადოება და ოჯახი ერთიანდება მოზარდის მხარდასაჭერად, დაიწყოს ყველაფერი ხელახლა (Henkes. 2000, გვ. 18-20)

მოზარდ ასაკში პრობლემური ქცევის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია ბავშვებს ქონდეთ უსაფრთხო და სტაბილური გარემო ოჯახში (Bentley და Patel ,2019,გვ.48). მზრუნველი ოჯახი არის ბედნიერი ბავშვობის წინაპირობა. ოჯახში ძალადობა, დაუსქმებლობა, დაბალი განათლება, მზრუნველობის ნაკლებობა კი, მნიშვნელოვნად აუარესებს ბავშვის განათლებაზე ზრუნვასა და ამით, სამომავლო ქცევითი და შინაგანი პრობლემების რისკს ზრდის. ბავშვისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და განათლების ხელშესაწყობად, სკოლამ, ოჯახმა და საზოგადოებამ ერთად უნდა იზრუნოს როგორც პრობლემების პრევენციის, ისე ინტერვენციის მიმართულებით (Bentley და Patel, 2019, გვ.58)და შექმნას ისეთი რეაბილიტაცია-რეინტეგრაციაზე ორიენტირებული ღონისძიება რომელიც ააკმაყოფილებს გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის (UNICEF, 2000) 4 აუცილებელ მოთხოვნას :1. არ იყოს სკოლაში დისკრიმინაცია; 2. იყოს გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესი ინტერესები; 3. ხორციელდებოდეს ბავშვის უშუალო ჩართულობით; 4. ემსახურებოდეს ბავშვის განვითარებას (Henkes. 2000, გვ. 32).

ამ შემთხვევაში, განათლება გვევლინება პრობლემური ქცევის აღბათობის შემცირების ეფექტურ საშუალებად და ეფექტიანი რეაბილიტაციური ღონისძიებები სწორედ ცოდნის შექმნასა და განათლების დონის აწევაზე არიან ორიენტირებულნი ((Darbouze , 2008, გვ. 116; Catalano, at all, 1999, გვ.2). კატალანოს (Catalano, at all, 1999, გვ. 2) აზრით, რაც უფრო მაღალია ინტელექტის დონე, მით ადვილდება დანაშაულის ჩადენის გარემო რისკ-ფაქტორებთან გამკლავება.

პედაგოგიური მიდგომა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს პრობლემური ქცევის ბავშვებთან მუშაობის პროცესში. მათთან, ვინც უარს იძახის სოციალიზაციის დამკვიდრებულ სტანდარტებზე და ამით საკუთარ მომავალ აყენებს რისკ-ქვემ და ვინც ხელახლა უნდა ისწავლოს ის, რაც პირველ ცდაზე არ გამოუვიდა. სკოლა ამ შემთხვევაში გვევლინება მოზარდისთვის ცოდნის გადაცემის, და საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავების წყაროდ. პრობლემური ქცევასთან მუშაობის დროს კი ეს მეტ პასუხისმგებლობასა და კომპეტენტურობას მოითხოვს (Henkes. 2000, გვ. 23-24).

სკოლაში მოზარდის პრობლემური ქცევაში იძლევა გულისხმობდეს სკოლის გაცდენას, მასწავლებლის შეპასუხებს, სკოლის ცხოვრებაში ჩაურთველობას, თანატოლებთან აგრესიულობას და სხვ. მსგესი ქცევა მოზარდებს დანაშაულის რისკ ჯგუფში ახვედრებს და ზრდის მომავალში მათ მიერ მეტად ნეგატიური ქცევითი გამოვლინებების აღბათობას. როგორც წესი, რისკ-ჯგუფში მყოფ ბავშვებს აქვთ მშობელთა მხარდაჭერის ნაკლებობა, ძალადობის გამოცდილება, ბრაზის მართვის უუნარობა, დაბალი ფინანსური მდგომარეობა და ხშირი კონფლიქტები ოჯახში (Molina at all., 2005, გვ.96-97). აღნიშნული ქცევითი გამოხატულების შეცვლაზე ორიენტირებული ინტერვენციები მიზნად ისახავს სოციალური და კოგნიტური კომპეტენციის გაზრდას და სკოლასთან მიჯაჭვულობის გაჩენას. ამით პოზიტიური

ქვევის გამომუშავებასა და ნორმის დაცვითი ქვევის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას. ეს ინტერვენციები შეიძლება იყოს აკადემიური მოსწრების წახალისება, სპორტული ღონისძიებები, ქვევითი კონსულტაციები და/ან ქვევითი მონიტორინგი, რომელიც მუდმივ ტონუსში ამყოფებს მოსწავლეს და კარგი ქვევის განმტკიცებით პოზიტიური ქვევის განხორციელების ალბათობას ზრდის (Catalano, at all, 1999, გვ.2).

ასეთ დროს სკოლას ეკისრება მნიშვნელოვანი როლი ჩართოს აღნიშნული გარემოების შემქნევის მოზარდი გარკვეულ აქტივობებში და პრობლემური ქვევის გამომჟღავნებისას, კი მეტი ძალისხმევა გაწიოს მოზარდების სასკოლო ცხოვრებაში ჩასართავად, ეს მოითხოვს სპეცილიზებულ ცოდნასა და ინდივიდუალური ქვისების განხილვას (Henkes. 2000, გვ. 27-29).

საქართველოში პრობლემური ქვევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის პროცესი

საქართველოში 2012 წელს დამტკიცდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია(საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N235. 2012) ⁷, რომლის მიზანი იყო, პრობლემური ქვევის მქონე/დამნაშავე მოზარდების რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის მიზნით, დანერგილიყო ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებები. განისაზღვრა მოზარდის სარეაბილიტაციო ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებები და მათი პროგრამები. მათ შორის იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც, რომელსაც უნდა ამოქმედებინა პროგრამები „უსაფრთხო სკოლა“ და „განათლება სასჯელარსრულების სისტემაში“. მათ განსაკუთრებული როლი მიენიჭათ მოზარდთა პრობლემური ქვევის პრევენციაში და აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად გაიწერა პრევენციული ღონისძიებების ჩამონათვალი (მუხლ.1-3). მათ შორის იყო : თანატოლებს შორის პოზიტიური ქვევის წახალისება: ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა: მშობლებისა და ოჯახებისთვის სპეციალური პროგრამების შემუშავების აუცილებლობა: იმ პირთა ტრენინგი, რომელნიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოზარდის ცხოვრებაში: სკოლამდელი განათლების პროგრამების შექმნა: ვანდალიზმის, ბულინგის, ძალადობის და მავნე ნივთიერებების შესახებ საინფორმაციო აქტივობების წარმოება (მუხლ.4-5).

ამავე ბრძანებაში იდენტიფიცირდა პრობლემური ქვევის და დანაშაულის ჩადენის რისკ ჯგუფში შემავალი მოზარდების მახასიათებლები. დოკუმენტის მიხედვით, ძირითად შემთხვევაში ეს არიან ის ბავშვები, ვისთანაც ვერ იმუშავა თავდაპირველმა, ზემოთ ჩამოთვლილმა პრევენციულმა ღონისძიებებმა. ასეთ ჯგუფებს წარმოადგენენ, ვისაც: ოჯახშიაქვთ მზრუნველობის ნაკლებობა: აქვთ ფინანსური სიდუხჭირე: ოჯახში ძალადობის, ნასამართლეობის და ან მავნე ნივთიერებების მოხმარების გამოცდილება; სკოლაში ემუქრებიან, აშინებენ, აბულინგბენ, უწევენ დისკრიმინაციას და ხშირად აცდნენე გაკვეთილებს; ასევე,ვისაც ყავს კრიმინალურიგარემო და იარაღის ტარებისა და მავნე ნივთიერებების მოხმარების ხელშეწყობა. გარდა აღნიშნული გარემო ფაქტორებისა, დანაშაულის რისკჯგუფში არიან ისინიც, ვინც იქცევა აგრესიულად, ბრაზით, მოიხმარს მავნე ნივთიერებებს და თავს არიდებს საზოგადოებრივი და

7

⁷ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის ბრძანებულება N235, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;

სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას. შესაბამისად, ხშირად აცდნენსკოლას და ყავს ცოტ მეგობარი (მუხლ.5-6).

საქართველოს სკოლებში მოზარდების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებაზე ზრუნავს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. მას ევალება ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა პრობლემური ქცევის მოსწავლეებისთვის, მათი მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. მომსახურების გასაწევად, მანდატური ამისამართებს მოსწავლეს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში, რომელიც პრობლემური ქცევის მოზარდს ქცევითი, ემოციური და ფსიქიკური პრობლემების დაძლევაში ეხმარება. უტარებს სკოლის პერსონალს და მშობლებს ტრენინგს, საინფორმაციო შეხვედრებს და უწევთ მთ კონსულტაციას თითოეულ შემთხვევაზე ინდივიდუალურად.⁸

2020 წელს წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრის (GCRT) მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით, ჩატარდა საქართველოში მოზარდობის დანაშაულის პრევენციული ღონისძიებებისა და მათი ხელმისაწვდომობის კვლევა სხვადასხვა უწყებებში და მათ შორის, სკოლებში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მანდატურის სამსახურშიც. აღმოჩნდა, რომ: სკოლაში პრევენციული ღონისძიებების დეფიციტია, დიდ ნაწილს არ ყავდა ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი; იყო ადამიანური რესურსების ნაკლებობა; არ იყო განსაზღვრული პრობლემური ქცევის მქონე ბავშვის რეფერირების ტრაექტორია და სკოლის გარეთ დარჩენილი მოზარდის სკოლაში დაბრუნების სქემა; პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობა დამოკიდებული აღმოჩნდა სკოლის პერსონალის მენეჯმენტზე და მოსწავლეების რაოდენობაზე. მოსწავლეების რაოდენობის ზრდა, ვითარების კონტროლის პრობლემას აჩენდა; პედაგოგების ნაწილი არ იყო შესაბამისად დატრენინგებული, მათთვის რთული იყო ძალადობის იდენტიფიცირება და არსებობდა მოსაზრება, რომ ძალადობის ფაქტზე რეაგირებისას, ისინი ზრუნავდნენ მხოლოდ მსხვერპლზე და „მომალადე“ რჩებოდა ზრუნვის მიღმა; პრობლემური ქცევის იდენტიფიცირებისას, ბავშვები და მათი მშობლები ხშირად ამბობდნენ უარს სპეციალისტის ჩარევაზე და შესაბამისად, მათი გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად, აღნიშნული ქცევა მსგავს შემთხვევებში იგნორირდებოდა (ქელბაქიანი და ცაგარელი, 2020, გვ.12-14).

ცხადია, რომ სკოლა და ოჯახი დიდ როლს თამაშობს როგორც მოზარდის პრობლემური ქცევის პრევენციაში, ისე მის რეაბილიტაციაში. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია მოზარდთა პრობლემური ქცევის პრევენციაზე პასუხისმგებელი უწყებები და პროგრამები და კვლევითი მონაცემები კი მოწმობს, რომ მიუხედავად, კანონით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო და ინტეგრაციის ღონისძიებებისა, მათი ეფექტურობა არ არის ცალსახა და დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე.

8

⁸ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ, საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, 2019,

(მუხლ. 3; 12) ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613224?publication=0>
წვდომის თარიღი 17.08.2021

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდი, კერძოდ, სიღმისეული ინტერვიუ. ჩატარდა 15 ექსპერტული ინტერვიუ, ინტერვიუების ხანგრძლივობა საშუალოდ იყო 30-50 წთ. ინტერვიუებში მონაწილეობდნენ პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის რეაბილიტაცია-რეინტეგრაციაზე პასუხისმგებელი სხვადასხვა სერვისის მიმწოდებელ პირები. მათგან იყვნენ თბილისის საჯარო სკოლების 5 პედაგოგი და 1 სკოლის დირექტორი. ასევე, მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური ცენტრის თბილისის, ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის რეგიონების 6 ფსიქოლოგი და 3 სოციალური მუშაკი. მონაწილეთა შერჩევისას გამოყენებული იქნა ხელმისაწვდომობის მეთოდი. მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური ცენტრის ფსიქოლოგ-სოციალურ მუშაკების კვლევაში ჩასართავად, გამოყენებულ იქნა თსუ-ს მემორანდუმი აღნიშნულ უწყებასთან.

შესასწავლი საკითხები კითხვებად ჩამოყალიბდა სამაგიდო კვლევის ფარგლებში და ეხებოდა მოზარდების პრობლემურ ქცევას, პრობლემური ქცევის მიზეზებს, პრობლემური ქცევის მქონე მოზარდების სკოლაში რეინტეგრაციის სირთულეებს, მოზარდების სკოლაში რეინტეგრაციის დამცავი და რისკ ფაქტორებს და საჭიროებებს რომელიც ამ პროცესში იკვეთება.

ინტერვიუს შედეგად მიღებული ნარატივები გაანალიზდა თემატური კონტენტალანლიზის გამოყენებით და გამოიყო ძირითადი თემები: მოსწავლეების პრობლემური ქცევა, პრობლემური ქცევის მიზეზები, პრობლემური ქცევის მქონე მოზარდების რეაბილიტაციისა და სკოლაში რეინტეგრაციის პროცესი და ამ პროცესში მოზარდის დამცავი და რისკ ფაქტორები. რის შემდეგაც გამოიკვეთა პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის ხელშემწყობი პროცესის საჭიროებები.

შედეგების ანალიზი

1. პრობლემური ქცევა

გამოკითხული ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და სკოლის პედაგოგები სკოლაში მოზარდის პრობლემურ ქცევას ერთნაირად განსაზღვრავენ. მათი შეხედულებით ყურადღებას იქცევს და საჭიროებს სპეციალისტის ჩარევას მოზარდი, რომელსაც აქვს: ქცევითი, კოგნიტური და ემოციური პრობლემები

„ვერ მართავენ ბრაზს, შფოთავენ, უჭირთ ურთიერთობები“ - ფსიქოლოგი (ქალი, 30 წლის)

ასევე, როდესაც მოზარდი ცდილობს ჩაშალოს საგაკვეთილო პროცესი, არ ერთვება სასკოლო ცხოვრებაში, იქცევა აგრესიულად თანატოლებისა და მასწავლებლების მიმართ, არის ბუღერი და/ან არის საკუთარ თავში ჩაკეტილი, სოციალურად იზოლირებული და უინიციატივო მოსწავლე

„ცდილობს ჩაშალოს საგაკვეთილო პროცესი და ან აცდენს სკოლას“ - მასწავლებელი (ქალი, 33 წლის);

„ხშირად ვინც არღვევს სკოლის შინა განაწესს, ჩამორჩენილია აკადემიურად, ან ლიდერია. ვერ მართავს მის ქცევას. არან ბუღერები, აგრესიულები“ - მასწავლებელი (ქალი 57 წლის).

როგორც ვხედავთ, პრობლემური ქცევა სკოლაში გვხვდება ბრაზის უმართაობის, გაკვეთილის ჩაშლის და/ან სოციალური დისტანცირების სახით, რაც სხვადასხვა ფორმით გამოიხატება და საჭიროებს რეაბილიტაციას.

2. პრობლემური ქცევის მიზეზები მოზარდებში

რესპოდენტების აზრით, პრობლემური ქცევის მქონე ყველა მოზარდს აქვს ოჯახში პრობლემები და ეს ოჯახური პრობლემები განსხვავებულად აისახება ბავშვების სასკოლო ცხოვრებაში.

„*ოჯახში ხდება ბრაზის გამოხატვის დასწავლა*“ - ფსიქოლოგი (ქალი, 30 წლის)

„*ოჯახში სწავლობენ და სკოლაში გამოხატავენ*“ - ფსიქოლოგი (ქალი, 42 წლის)

რესპოდენტები თვლიან, რომ „ყველაფერზე პასუხისმგებელია, გარემო ოჯახში“; ოჯახის უუნარობა ფინანსურად უზრუნველყოს შვილი; დააკმაყოფილოს მისი საბაზისო მოთხოვნილებები; აღზრდის და მშობლობის მცდარი სტილი; დაბალი განათლება შვილის პრობლემის არ აღიარება და ნაკლები ჩართულობა შვილის ცხოვრებაში. გარდა ამისა, ბავშვის პრობლემურ ქცევას განაპირობებს მშობლის მზრუნველობის ნაკლებობა/ არ არსებობა, როდესაც მშობელი ემიგრაციაშია ან მუშაობს გამუდმებით. ასევე, ხშირია მშობლის მიერ ბავშვის საჭიროებების უგულებელყოფა, ბავშვის ინტერესების გაუთვალისწინებლობა და საკუთარი ინტერესების პრიორიტეტად აღქმა, რაც ასევე, უყურადღებოდ დატოვებული ბავშვის პრობლემური ქცევის წინაპირობა ხდება.

„*მშობლებმა არ იციან, რა არის ასაკობრივი თავისებურებები*“, არ თვლიან მათ ცალკე ინდივიდუალად“. „*მასწავლებლებმა ცოტა მაინც იციან ბავშვის განვითარებაზე, მშობლებმა კი არა, უგულებელყოფენ*“ - მასწავლებელი (ქალი, 57 წლის).

„*მშობლის ყურადღების დეპრივაცია, ემიგრანტი მშობლები, ყურადღების ნაკლებობა და გარეთ გამოხატული განცდები*“ - ფსიქოლოგი (ქალი, 50).

სკოლაში მოზარდის პრობლემური ქცევის მიზეზად ერთმნიშვნელოვნად სახელდება ოჯახური გარემოებები, მშობელთა კონფლიქტი და ბავშვის ცხოვრებაში ნაკლები ჩართულობა.

3. სკოლაში პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის რეაბილიტაციის პროცესი

პრობლემური ქცევის შემჩნევისას, მასწავლებელი, მანდატური და ან მშობელი ამისამართებს ბავშვს სპეციალისტთან. ბევრ სკოლას არ ყავს ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკებიც ახალი შესულები არიან სკოლაში და ისიც, რამოდენიმეგან. შესაბამისად, ბავშვი ამ დროს ხვდება მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალურ ცენტრში, რესპოდენტების თქმით, რეფერირების სტანდარტი გაწერილია, სადაც საჭიროებიდან გამომდინარე ის ეწერება სპეცილისტს, რომელიც მისი ქეის მენეჯერი ხდება.

სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგებიჯერ აფასებენ მათთან გადმომისამართებულ მოსწავლეს და მერე გეგმავენ ინტერვენციას მშობლის ჩართულობით. თუმცა, აღნიშნავენ, რომ მშობლებს აქვთ ფსიქოლოგების დაბალი მიმდებლობა და „ფსიქოლოგს აიგივებენ ფსიქიატრთან“. სოციალური მუშაკები, ასევე, ხაზს უსვამენ, რომ ფსიქოლოგებისგან განსხვავებით, მეტი მიმდებლობით სარგებლობენ მშობლებში

„*მთანხმდება, მაგრამ სხვამ არ გაიგოს*“, - სოციალური მუშაკი (ქალი, 35 წლის)

„*ფსიქოლოგთან ჩემს შვილს რა უნდა, გიჟი ხომ არ არის?!*“ - სოციალური მუშაკი (ქალი, 37 წლის)

სოციალურ მუშაკებს მეტად უადვილდებათ ოჯახებში შესვლა და ბავშვის ოჯახური გარემოს შესწავლა, შესაბამისად, ინფორმაციას, უფრო ვრცლად ისინი იღებენ. მოზარდთან მუშაობის პროცესში, გეგმავენ შეხვედრებს თვითშეფასების ამალეებაზე, თვითკონტროლის უნარის გაძლიერებაზე, დაბალი თვითშეფასების აწევაზე. მათი

აზრით, ბავშვს აქვს მაღალი მზაობა და მათთან მუშაობა მარტივია, თუმცა, პრობლემას ქმნის მშობლის უარყოფითი განწყობა,

„ბავშვი მიმნდობია, ალალი, ყველა ყველაფერს და მშობელი კი უკანონებს, ვისთან იმეგობროს ვისთან არა“ - ფსიქოლოგი (ქალი, 29 წლის)

„მშბლები არ ერთვებიან აღზრდის პროცესში, არასწორედ ზრდიან, აწოდებენ ინფორმაციას შვილებს და ჩვენ მათ ვუწევთ კონსულტაციას“ - ფსიქოლოგი (ქალი, 30 წლის)

ოჯახები, მათი აზრით, მეტად სტერეოტიპულები არიან, მაღავენ და ან უარყოფენ ბავშვის პრობლემებს და ეს ართულებს რეაბილიტაციას. განურჩევლად პრობლემისა. მშობლების ჩართულობა განაპირობებს რეაბილიტაციის ეფექტურობას. მშობლის ნებართვის გარეშე კი სოციალურ მუშაკებს უჭირთ მუშაობა და უხარიათ, რომ შედიან სკოლებში, სადაც ადგილზევე შეძლებენ სიტუაციის მართვას.

მასწავლებლების ინტერვიუს მიხედვით, ისინი იშვიათად ამისამართებენ მოსწავლეს მანდატურის სამსახურში, ურჩევნიათ თვითონ, მშობლებთან კოორდინირებით, მართონ შემთხვევა. ამას ფსიქოსოციალური ცენტრის დისტანციითა და უწყების „სადამსჯელო“ რეპუტაციით ხსნიან. ცდილობენ თავად გაუმკლავდნენ შემთხვევას, თვლიან, რომ თუ ბავშვი მიენდო მათ და ისინი გაუმვებენ სხვასთან, დაკარგავენ ნდობას.

„თუ მოვიდა და გამეხსნა და მე გავუშვი სხვასთან, დაგვარგავ“ - მასწავლებელი (ქალი, 34 წლის)

ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი, რომელიც არაა სკოლაში, გარე უწყებაა მათთვის. აქვე აღნიშნავენ, იმასაც, რომ კომპეტენტური მასწავლებლები ცოტანი არიან და ძირითად შემთხვევაში არავენ იწუხებს თავს ბავშვის გამო, უბრალოდ უგულებელყოფენ ხოლმე პრობლემური ქცევის მქონე მოსწავლეს. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მათი თქმით, გადამისამართებული მოსწავლის საჭიროებები იგნორირებული ყოფილა ცენტრის მიერ და ამას მისი კრიმინალური ქცევა მოყვლია შედეგად.

რესპოდენტების პასუხებიდან ჩანს, რომ პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის რეაბილიტაციის პროცესში მშობლებისა და სკოლის პერსონალის მხრიდან სპეციალისტების ჩართვის დაბალი მზაობაა, სპეციალისტების გარეშე პედაგოგების გამკლავების რესურსი კი ძალიან მცირე. თუმცა, ორივე მხარე, სკოლაც და სპეციალისტებიც თანხმდებიან, რომ სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტურობა ცალსახად დამოკიდებულია მშობლის ჩართულობასა და თანამშრომლობაზე.

4. პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის სირთულეები

სოციალური მუშაკები პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის სირთულეს უკავშირებენ მასწავლებლების პედაგოგიური კომპეტენციის სიმცირეს და მათთან კოორდინირებულად მუშაობის შეუძლებლობას,

„რომ არ არის, ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა მასწავლებელი-სოციალური მუშაკი-ფსიქოლოგს შორის“ - სოციალური მუშაკი (ქალი, 52 წლის)

„ რომ ხშირად არ ერთვება პროცესში მშობელი“, „მშობელი არ თვლის თავს ვალდებულად, მისი ინტერესები უფრო წინ აქვს“ - სოციალური მუშაკი (ქალი, 35 წლის)

მათი აზრით, ცენტრიდან დაბრუნებული რეაბილიტირებული ბავშვის მონიტორინგისათვის ხშირად რესურსი არ ყოფნით, სკოლასთან ასეთ შემთხვევებზე ინფორმაციის გაცვლა ვერ ხერხდება, ინფორმაცია იკარგება, არ არსებობს შუარგოლი და პედაგოგებს კი უმეტესად . არ ყოფნით კომპეტენცია და/ან დრო რომ ასეთ მოსწავლეებს

შესაბამისი ყურადღება მიაქციონ. ეს კი, აფერხებს რეინტეგრაციას და ზრდის ქცევის განმეორებითობის რისკს.

ფსიქოლოგებისთვის პროცესს ართულებს ისიც, რომ ადგილზე სკოლებს არ ყავთ სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, ვინც პირველად ფილტრს და შეფასებას გაუკეთებდა მოსწავლეს და ცენტრიდან დაბრუნებისას კი ხელს შეუწყობდა მის ინტეგრაციას.

„კაი იქნება, არსებობდეს ფილტრი... სოციალური მუშაკიც საკმარისი იქნებოდა, ისეთი გამოცდილი კადრები გვყავს ცენტრში“ - ფსიქოლოგი (ქალი, 32 წლის)

პრობლემად მიაჩნიათ, ასევე, მასწავლებლის დაბალი კომპეტენცია, არასწორი მიდგომა და სპეციალისტების ჩარევისადმი მცდარი შეხედულება. მასწავლებლებს მათი აზრით, არ სურთ ჩაერთონ მოსწავლის რეაბილიტაციის პროცესში, ხშირად იმიტომ, რომ არ ყოფნით კომპეტენცი, ხშირად იმიტომაც რომ არ ყოფნით რესურსი.

„მასწავლებლებს აქვთ ჩვენი დაბალი მიმღებლობა და ჩვენი რეკომენდაციების გათვალისწინებაც ხშირად არ და ვერ ხდება“ - ფსიქოლოგი (ქალი, 29 წლის)

„მათ ეშინიათ, ფსიქოლოგის გამოჩენა სადამსჯელო ბავშვებისთვისაც და მათთვისაც“ - ფსიქოლოგი (ქალი, 32 წლის)

შესაბამისად, მასწავლებლების ჩართულობაც დაბალია, რაც დაბალი მოტივაციით, სამსახურის დაკარგვის შიშით და ზოგჯერ უკომპეტენციობითაც აიხსნება.

მასწავლებლები, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების მსგავსად, ასევე, თვლიან, რომ მათ კლასის მართვასა და ბავშვებთან მეტად თანამშრომლური ურთიერთობების დასამყარებლად არ ყოფნით რესურსი. მანდატურის სამსახურს „სადამსჯელო“ რეპუტაცია აქვს და ვერ კოორდინირებენ მათთან. პრობლემას ქმნის ასევე, ისიც, რომ ადგილზე არ ყავთ სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი

„რომ იყვნენ ადგილზე, ტანდემში ვიმუშავებდით“. - მასწავლებელი (ქალი, 47 წლის).

პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის სირთულეებს წარმოადგენს ცენტრის სპეციალისტებისა და სკოლის პედაგოგებს შორის ინფორმაციის გაცვლის შეუძლებლობა; ცენტრიდან დაბრუნებული ბავშვის მხარდასაჭერად, პედაგოგის კომპეტენციის ნაკლებობა; სკოლაში შესაბამისი სერვისის არ არსებობა და ცენტრის სპეციალისტების დაბალი მიმღებლობა.

5. პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის დამცავი და რისკ-ფაქტორები

სოციალური მუშაკების აზრით, მოზარდის რთული ქცევის დაძლევაში წამყვანი როლი უჭირავს მშობელს. ფსიქოლოგების აზრითაც, აუცილებელია პროცესში მშობლის ჩართვა და მხარდაჭერა. ამ დროს სკოლაში მეტნაკლებად დამაბული გარემოც კი დაძლევადი ხდება.

“თუ არსებობს ერთი ადამიანი მაინც, ვინც ამ ბავშვს უჭერს მხარს, ის აუცილებლად შეცვლის პრობლემურ ქცევას“ - ფსიქოლოგი (ქალი, 32 წლის).

მასწავლებლების აზრითაც, რეაბილიტაციის პროცესის წარმატება სრულიად მშობლის ჩართულობაზეა დამოკიდებული, ხოლო სკოლაში რეინტეგრაციაში კი მასწავლებლის მიდგომას უკავია წამყვანი როლი. თუმცა, აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს რთულია, რადგან ასეთი მოსწავლისადმი ყურადღების მიქცევა, ხშირად სხვების უყურადღებოდ დატოვებას გულისხმობს. ეს კი დაუშვებელია.

„თუ მშობელი მომყვება, აუცილებლად გამოვა“ - მასწავლებელი (ქალი, 47 წლის).

რესპოდენტების აზრით, პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის ხელისშემწყობი ფაქტორი მშობლის ჩართულობა და ხელისშემშლელი კი, პირიქით, მშობლის მხარდაჭერის არ არსებობაა

6. პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში წარმატებული რეინტეგრაციის საჭიროებები

ინტერვიუების პროცესში, რესპოდენტებმა გამოკვეთეს საჭიროებები, რომლებიც, მათი აზრით, შეამცირებს მოზარდებში პრობლემური ქცევის აღმოცენებას. ესენია: მშობლებისა და შვილების სწორი ურთიერთობის სწავლება და მშობლების ხელშეწყობა, მეტი დრო გაატარონ შვილებთან ერთად. ეს მშობლის სტრესს შეეამცირებს და გაზრდის ბავშვის ცხოვრებაში ჩართვის ხარისხს.

„არსებობდეს საგზურები მშობლებისა და შვილებისთვის“, „დამსაქმებელი ნაკლებად კრიტიკული იყოს, თუ დაავიანთ თანამშრომელმა შვილის სკოლაში მიყვანის გამო“ - მასწავლებელი (ქალი 30 წლის).

პრობლემური ქცევის აღმოცენებისას კი, მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის ხელშესაწყობად, რესპოდენტების აზრით, აუცილებელია: ოჯახი, სკოლა და სპეციალისტები მუშაობდნენ კოორდინირებულად; სკოლაში არსებობდეს სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი და ან მედიატორი რგოლი სკოლასა და ფსიქოსოციალურ ცენტრს შორის.

თუმცა, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები თავიანთ სამუშაოს არაეფექტიანად თვლიან, თუ არ იარსებებს ოჯახის მხარდამჭერი პროგრამები. მათი აზრით, ოჯახები დგანან საბაზისო მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის წინაშე და მათთვის სხვა ინტერესები უბრალოდ არ არსებობს. ხოლო, ოჯახების შემთვევაში, ვინც არ დგას მსგავსი ფინანსური პრობლემების წინაშე და მაინც არ ერთვება ბავშვის რეაბილიტაციის პროცესში უნდა არსებობდეს „დავალდებულებების“ მექანიზმი

„რაიმე უნდა არსებობდეს რაც მშობელს დაავალდებულებს ბავშვის ინტერესები პრიორიტეტად ჩათვალოს“ - ფსიქოლოგი (ქალი, 50 წლის)

გარდა ამისა, ყველა მათგანი ჯერდება იმაზე, რომ მასწავლებლებს აქვთ პოტენციალი და გამოცდილება და კარგი იქნება თუ ამას გააზიარებენ. ეს მათი აზრით, შეამცირებს სამინისტროს ხარჯებს სწავლებაზე და სწავლების პროცესს მეტად გასაგებს და მისღებს გახდის.

„ეს მისცემს საშუალებას მშობლებს და სხვა მასწავლებლებს ისწავლონ მეთოდები, როგორ მართონ ქცევა, სხვის მაგალითზე“ - მასწავლებელი (ქალი, 33 წლის).

რესპოდენტები თვლიან, რომ პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის ეფექტურობის გასაზრდელად, აუცილებელია მშობელთა მხარდაჭერა აღზრდის პროცესში, ფსიქო-განათლებისა და ფსიქო-სოციალურ სერვისებში ჩართვის სახით; სკოლისა და სპეციალისტების კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა, რესურსის გაზრდა; საჭიროებისამებრ, მშობლის დავალდებულება, იხელმძღვანელოს ბავშვის ინტერესებით და მასწავლებლებსა და პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარება.

დასკვნა

მოცემული კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ:

სკოლაში მოზარდს აქვს ორი სახის ემოციური და ქცევითი პრობლემები. როდესაც მოსწავლე გამოირჩევა განსაკუთრებული აქტიურობით და პირიქით, როდესაც, ის საერთოდ არ გამოდის კონტაქტზე.

მოზარდის პრობლემური ქცევის მიზეზები გახლავთ ოჯახური ურთიერთობები. აქ იგულისხმება აღზრდის სტილი, მშობელი-შვილის არასწორი დამოკიდებულება, ემოციური დეპრივაცია და უმეტესად, ოჯახში კონფლიქტის არსებობა, შვილის ცხოვრებაში დაბალი ჩართულობა და განათლების დაბალი დონე.

პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის რეაბილიტაციის აუცილებელია მშობლისა და სასკოლო პერსონალის პროცესში ჩართულობა, რასაც ხშირად ხელს უშლის მშობლის უარი და მასწავლებლების დაბალი კომპეტენცია.

პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის სირთულეებად სახელდება რეაბილიტაცია/რეინტეგრაციის პროცესში მშობლის დაბალი ჩართულობა, მასწავლებლის დაბალი კომპეტენცია, სკოლაში სპეციალისტების არ არსებობა და ცენტრის სპეციალისტების სკოლასთან კოორდინირებული მუშაობის შეუძლებლობა.

პრობლემური ქცევის მქონე მოზარდის სკოლაში რეინტეგრაციის მხარდამჭერ ფაქტორად გვევლინება ოჯახში კონფლიქტის არ არსებობა, მშობლის მხარდაჭერა და ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა. მოზარდები კი, რომლებიც ვერ გრძნობენ მშობლის მხარდაჭერას, მშობელი არ ერთვება მათი რეაბილიტაციის პროცესში და არ მონაწილეობს ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში, ხშირად ვერ ახერხებენ რეაბილიტაციასა და სკოლაში წარმატებულ რეინტეგრაციას.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია გაიცეს შემდეგი რეკომენდაციები

- სკოლაში უნდა არსებობდეს სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი;
- აუცილებელია მასწავლებლების მხარდაჭერა (სწავლება, ფსიქოგანათლება, გამოცდილების გაზიარება);
- პოზიტიური მშობლობის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარება (სწავლება, უფლებრივი განსაზღვრა, მშობელი - შვილის ერთად დროის გატარების წახალისება).

განხილულ მასალაზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ კვლევის ვარაუდი გამართლდა. პრობლემური ქცევის მქონე მოზარდების რეინტეგრაციის პროცესში დამცავ ფაქტორად გვევლინება ოჯახში კონფლიქტის არარსებობა, რა დროსაც მშობელთა მხარდაჭერა წარმოადგენს მოზარდის რეინტეგრაციის ხელისშემწყობ უმთავრეს გარემოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლაბარტყავა ნ., ოსიაშვილი ქ., საჯავია მ., კობალაძე ქ., მასწავლებლის წიგნი - უსაფრთხო სკოლა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018
2. ქელბაქიანი ა., ცაგარელი ნ., არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია,)კვლევის ანგარიში , წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) ევროკავშირის მხარდაჭერით, 2019
3. შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელ მჯავრდებულთათვის რისკ-ფაქტორების კრიმინოლოგიური ანალიზი, ბერლინი/თბილისი, 2013;
4. ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს., განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008
5. Abrams L., S., Shlonsky A., Mizel M., Juvenile Reentry and Aftercare Interventions: Is Mentoring a Promising Direction? Journal of Evidence Based Social Work, Routledge, Uk, 2014

6. Bentley J. & Patel S., Choose Childhood: Building a Brighter Future for Our Children, Actions for Children, UK, 2019;
7. Buonanno P. , The Socioeconomic Determinants of Crime, A Review of the Literature , Milan: Department of economics university of Milan – Bicocca, 2003 , გვ.11-24;
8. Catalano, R., Loeber, R., Kinnet K., C., School Community Interventions To Prevent Serious and Violent Offending, Juvenile Justice Bulletin, U.S. Department of Justice, 1999;
9. Capaldi D.M., Kerr D.R., Eddy J.M., Tiberio S.S. , Understanding Persistence and Desistance in Crime and Risk Behaviors in Adulthood: Implications for Theory and Prevention, 2016 ხელმისაწვდომია <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4826854/>, წვდომის თარიღი 15.07.2021
10. Darbouze, K., Rehabilitative Methods nd the Affect on Juvenile Delinquents, The University of Maryland McNair Scholars Undergraduate Research Journal, 1, no. 1.,2008;
11. Encyclopedia on Early Childhood Development , 2011, Importance of Early Childhood Development, ხელმისაწვდომია [:https://www.child-encyclopedia.com/sites/default/files/dossiers-complets/en/importance-of-early-childhood-development.pdf](https://www.child-encyclopedia.com/sites/default/files/dossiers-complets/en/importance-of-early-childhood-development.pdf), წვდომის თარიღი 20.08.2021, გვ. 1
12. Henkes B., The Role of Education In Juvenile Justice in Eastern Europe and The Former Soviet Union, Cold Paper No.2. Human Rights Education aSSocites (HREA), Open Society Institute, Hungary, 2000
13. Institute of Medicine and National Research Council, (IMNRC), Committee on the Science of Adolescence Board On Children, Youth and Families, The National Academies Press, Washington D.C. 2011
14. Mantey E., E. და Dzetor G., juvenile Delinquency: Evidence of Challenges in Rehabilitation, American Journal of Applied Sciences, Science Publications, 2018, გვ.321-330;
15. Molina J., S., Dolmus C.,N., Sowers K., M., Secondary Prevention for Youth Violence: A Review of Selected School Based Programs, Brief Treatment and Crisis Intervention Vol.5,No.1, Oxford press, 2005
16. Permata A., C., Child-Friendly School and City for Better Future, The First International Conference on Child - Friendly Education, 2016, გვ.315-321, ხელმისაწვდომია [:file:///C:/Users/user/Desktop/Downloads/3-AndariniPermataC.pdf](file:///C:/Users/user/Desktop/Downloads/3-AndariniPermataC.pdf) , წვდომის თარიღი 20.08.2021.
17. Pruett M., K., and Barker R., (2009) Children of Divorce:New Trends and Ongoing Dilemas, Wiley-Blackwell Handbook of Family Psychology, ed. By Bray, J., H., and Stanton, M., Wiley-Blackwell,(Chapter 31) A john Wiley & Sons, Ltd.Publications,
18. Vandewater E. A. and Lansford J. E. , (1998), Influences of family Structure and Parental Conflict on Children’s Well-Being ,National Council on Family Relations, [Vol. 47, No. 4](#)pp. 323-330
19. Williams-Owens W., (2017) , The Behavioral Effects Divorce Can Have on Children ; ხელმისაწვდომია https://academicworks.cuny.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3353&context=gc_etds&fbclid=IwAR2FlanTw82FeG1fCCqVd79doH9S6uAxGWGVmD-7jtQGF6UWD1zEPBK4HHk, წვდომის თარიღი 15.06.2021;

სამართლებრივი დოკუმენტები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №141/ნ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, 2019 ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613224?publication=0> წვდომის თარიღი 17.08.2021

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005, მუხლ.2 (მ), ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90> , წვდომის თარიღი 19.08.2021

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005, მუხლ.2 (მ), ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90> , წვდომის თარიღი 19.08.2021

საქართველოს მთავრობის დადგენილება #84, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ, 2004

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის ბრძანებულება N235, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;

Article received 2021-09-14